



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia



64071-14-2-201607151527

N 14/64071
15/07/2016

„ჟურნალისტიკის განვითარების ცენტრის“ ჟურნალისტს

ქალბატონ ნინო ბაქრაძეს

მის: ქ.თბილისი, ალ.ჭავჭავაძის ქ. №10ა

ტელ: 555 289 039

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 27 ივნისისა და 29 ივნისის განცხადებებთან დაკავშირებით გაცნობებთ, შემდეგ:

„საქართველოში ეროვნული ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ შორის 2009 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი (მათ შორის ფინანსური ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია) ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიისაგან“ მიღებული წერილობითი თანხმობის შესაბამისად, გიგზავნით „საქართველოში ეროვნული ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ შორის 2009 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების 3.3.1.1 ქვეპუნქტის (შესატანი სახელმწიფო ბიუჯეტში) და 3.4 მუხლის (ბიზნეს გეგმის შესრულება) და „2009 წლის 1 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ექსკლუზიური უფლების მფლობელს შორის საქართველოში ეროვნული ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მინიჭების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ 2010 წლის 30 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ შორის გაფორმებული შეთანხმების მე-2 და მე-3 პუნქტების ამონარიდებს.

განცხადებაში დასმულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში


რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები: ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან / და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“.

დანართი: „2“ (ორი) ფურცელი;

პატივისცემით,

თეონა ჯინჭარაძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური